| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ უსახელოს წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; მუნიციპალიტეტის სოფლების წყალმომარაგების სისტემის საპროექტო სამუშაოები, მათ შორის: სოფელ ბილის (ზედა უბანი), სოფელ ჭილოვნის, სოფელ წინსოფლის, სოფელ სკინდორისა და სოფელ ცხრუკვეთის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება. სოფელ მერევეში, მანდაეთსა და მორძგვეთში წყალმომარაგების სისტემის აღდგენის საპროექტო სამუშაოები. სოფელ ბერეთისაში ეკლესიის უბანში წყლის მაგისტრალის და ქსელის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები. | | |

| | | | |
|----------------------|------|--------------------|---------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | შპს ჭიათურის წყალი | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|----------------------|------|--------------------|---------------------------------------|



| | |
|-----------------------------|--|
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის მამულებზე წყალმომარაგების სისტემების მოვლა-პატრონობა შენახვა. |

| | | | |
|----------------------|-------|---------------|---------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათება | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
| | 02 03 | | 688.920 |

| | |
|-----------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისთვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. აგრეთვე განხორციელდება ახალი სანათი წერტილების მოწყობა და არსებული სისტემის რეაბილიტაცია გარე განათების ქსელით მოცულია ქალაქ ჭიათურის ტერიტორიის 95%.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <p>ა) გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;</p> <p>ბ) კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში.</p> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე – მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი – გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას) ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში – მრავალწლიანი.</p> <p>2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია როგორც გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაციაზე. აღნიშნული ასიგნება გაიცემა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან.</p> |

| | | | |
|-------------------------|----------|------------------------------------|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 03 01 | | 260,0 |

| | |
|--------------------------------|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელით დაფარულია 95%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <p>ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</p> <p>ბ) ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</p> <p>გ) დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.</p> <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას</p> |

| | | | |
|-------------------------|----------|---|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 03 02 | | 428.920 |

| | |
|--------------|---|
| ქვეპროგრამის | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის |
|--------------|---|



| | | | |
|-------------------------------|--|--|--|
| განმახორციელებელი | კეთილმოწყობის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ჭიათურის მნიშვნელოვანი ადგილებზე, კერძოდ: სოფელ შუქრეთისა და კაცხის მიმართულებით გარე განათების ქსელის მოწყობა. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები. | | |

| | | | |
|-----------------------------|---|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 04 | | 572.500 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია, რომელიც განახორციელებს ჭიათურაში საზაგირო გზების აღდგენამდე უზრუნველყოფს სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრთა გადაყვანას, ხოლო აღდგენის შემდეგ საზაგირო გზის ექსპლოატაციას. ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მძიმე ტექნიკის ექსპლოატაციას. | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 04 01 | | 372,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა შპს „ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“. დაფინანსების ფარგლებში გაიცემა მძღოლთა ხელფასები და ანაზღაურდება საწვავის ხარჯი. საკუთარი შემოსავლით ფინანსდება საწვავის და აგრეთვე სხვა მიმდინარე ხარჯები; ქალაქ ჭიათურის მასშტაბით მუნიციპალურ სატრანსპორტო მომსახურებას საზაგირო ტრანსპორტის აღდგენამდე მომსახურებას უწევს შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია, რომელიც ჭიათურაში რამოდენიმე მიმართულებით ახორციელებს მგზავრთა გადაყვანას. შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანიასა და შპს ჭიათურბაგიროგზების შერწყმამდე დაფინანსება გაეწევა შპს ჭიათურბაგიროგზებს. | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 04 02 | | 200.000 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების ყიდვა, რომელიც მომსახურებას გაუწევს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს. | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 06 | | 1176.753 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| ეხელი | | | |
| | ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების | | |



| | | | |
|--------------------------------|--|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა პატრონობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 07 01 | | 436.306 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა თუ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მწვანე ნარგავების შექმნა-განაშენიანება, 2007 წლამდე ყოფილი სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ მიერ დაზიანებული, დეგრადირებული ნიადაგის აღდგენის, გამწვანებისა და მოვლა-პატრონობისათვის სამუშაოები; განხორციელდება ნიკოპოლის ქუჩის მოწყობის სამუშაოები და ფანცულაიას ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები.</p> <p>სივრცულად სკვერის მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია); სკვერების პროექტირება (ხელშეკრულება გაფორმებულია) ტაბიძის ქუჩის სკვერის, სოფელ წინსოფლის, მემორიალის, ნაგუთის მემორიალის და ნაგუთის ეკლესიის მიმდებარე სკვერის საპროექტო სარეაბილიტაციო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისათვის. გათვალისწინებულია გასულ წლებში შესრულებული სამუშაოების (2.5 პროცენტი) საგარანტიო თანხები. სანატორიუმის მიმდებარე სკვერისა და გასართობი ატრაქციონების მოწყობის საპროექტო სამუშაოები; იაშვილის, ჭავჭავაძისა და ერისთავის ქუჩის ფერდობზე სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები; ნინოშვილის ქუჩაზე ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სახელობის სკვერის პროექტირება; სკვერების საპროექტო სამუშაოები ფანცულაიას და გიორგამის ქუჩაზე (ხელშეკრულება გაფორმებულია); ნაგუთის დასახლებაში ყოფილი საბაგირო გზის ტერიტორიაზე არსებული სკვერის გაფართოვების საპროექტო სამუშაოები; შიდა ეზოების მოწესრიგების-სკვერების მოწყობის საპროექტო სამუშაოები; საჩხერის გზატკეცილზე (ტროლეიბუსების ყოფილ გარაჟთან) საცხოვრებელი სახლების წინ, სამთო მაშველის მრავალსართულიანი კორპუსების წინ და ე.წ. მეორე ატეკასთან მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების წინ; ნაგუთის სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეს სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, აღმაშენებლის ქუჩაზე საბაგირო გზის მიმდებარე სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, ჭილაძის ქუჩაზე ცენტრალური ავტოსადგომის ზემოთ სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, საჩხერის გზატკეცილი №28 საცხოვრებელი კორპუსის ეზოს შემოღობვის საპროექტო სამუშაოები, ნაგუთის დასახლებიდან ბაზრამდე და საჩხერის გზატკეცილის გასწვრივ შიდა ეზოების და ღობეების მოწყობის საპროექტო სამუშაოები, წმინდა გერმანეს ქუჩაზე შიდა ეზოს მოწყობის საპროექტო სამუშაოები, სოფელ ნავარძეთი-ჭიათურის შემოსასვლელში სკვერისა და ტერასის მოწყობის საპროექტო სამუშაოები. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|--|-----------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 07 02 | | 823.707 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, განხორციელდება მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პროექტების დაფინანსება. 2020 წლის სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისათვის 812000 ლარი და 2019 წლის სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ნაშთი 11707 ლარი. | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სასაფლაოს მოვლა შემოღობვა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 08 | | 20.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლების: უსახელოს, ცხრუკვეთის, ითხვისის სასაფლაოს შემოღობვის საპროექტო სამუშაოები. | | |

მუხლი 14.

დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2020-2023 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როდორცაა მწვანე ნარგავების



დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა და სხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო აღსრულების კუთხით ჩართულია „ა(ა)იპ – დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი“

| | | | |
|-----------------------------|---|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 03 01 | | 1250.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა კეთილმოწყობის სერვის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა თუ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, ზამთრის პერიოდში მოსული ნალექისაგან საგზაო ინფრასტრუქტურის გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. ააიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. | | |

| | | | |
|-----------------------------|---|---------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სანიაღვრე არხების აღდგენა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 03 04 | | 4.500 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცენტრალურ გზაზე ცხაურების მოწყობის საპროექტო სამუშაოები, სოფელ ზედა ბერეთისაში ნაილი ხარაზიშვილის სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, 9 აპრილის ქ. №23-თან და დალი დოღაძის სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო სამუშაოები და საჩხერის გზატკეცილზე №5 კორპუსის მიმდებარედ ეზოს შემოღობვა და სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო სამუშაოები. გოგებაშვილის ქუჩის პირველ შესახვევში №15 საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, კავსადის სახელობის №1 სამუსიკო და სახვითი ხელოვნების სკოლების სარინელოს მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები. | | |

მუხლი 15.

განათლება 04 00

სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამა 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

| | | | |
|-----------------------------|---|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 04 01 | | 3250.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების დასახვის საკუთარ სახლში მათთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის | | |



| | |
|-----------------------------------|--|
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სადამზრდელო პროცესს გადის 1600-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 650 აღზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სადამზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; 2. ბაგა-ბაღებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; 3. ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 4. ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; 5. ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; 6. ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. |
|-----------------------------------|--|

| | | | |
|---------------------------------------|---|--|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი 04 01 02</p> | <p>სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა</p> | <p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 877.352</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური</p> | | |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელ ქვაციხის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც წარმოადგენს ორ წლიან პროექტს, სრული ღირებულება 419320.7 ლარი, მათ შორის: 2019 წლის თანხა 207000 ლარი და 2020 წლის თანხა 212320.70 ლარი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს როგორც სოფელ ქვაციხის, აგრეთვე მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმისაწვდომობაში. სოფელ ქვაციხის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია). საბავშვო ბაღების საპროექტო სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია): №6 ბაღის სრული რეაბილიტაცია; სოფელ მანდაეთის, სოფელ კაცხის, სოფელ ეწერის, სოფელ რგანის, №11 ბაღის სოფელ უსახელოს და სოფელ მღვიმევის საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია. ჭიათურაში კოსტავას ქუჩის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p> | | |

| | | | |
|---------------------------------------|--|--|---|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი 04 03</p> | <p>ზოგადი განათლების ხელშეწყობა</p> | <p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 56.551</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური</p> | | |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 18.01.2019 წლის №13 განკარგულებით განხორციელდება ჭიათურაში №3 საჯარო სკოლის ეზოსა და შენობის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები 4950 ლარი.</p> <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება 70714 ლარი საქართველოს მთავრობის 18.01.2019 წლის №13 განკარგულებით აგრეთვე დაეგმილია სოფელ ითხვისის I საჯარო სკოლის ეზოს და შენობის სრული სარეაბილიტაციო საპროექტო სამუშაოები. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p> | | |

მუხლი 16.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში



თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

05 01 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული დაწესებულებებისა და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

| | | | |
|--------------------------------|---|---------------------------------|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 01 | | 1558,429 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:</p> <p>ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა</p> <p>ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა</p> <p>ა(ა)იპ – ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>ა) ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</p> <p>ბ) მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</p> <p>გ) მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|--|-------------------------------------|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 01 01 | | 1382.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:</p> <p>ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა</p> <p>ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>ა) ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</p> <p>ბ) მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</p> <p>გ) მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|--|---|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 01 01 01 | | 750.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა | | |



| | |
|--------------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის სხვადასხვა დარგის (ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ – №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს მიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონომენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი) რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.</p> <p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ ა(ა)იპ – №27 კომპლექსურ სპორტულ სკოლას, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>პროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე</p> |
|--------------------------------------|---|

| | | | |
|---------------------------------------|--|--|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი 05 01 01 02</p> | <p>რაგბის განვითარების ხელშეწყობა</p> | <p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 400.0</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა</p> | | |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 160 სპორტსმენს და 10 მწვრთნელს; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ ა(ა)იპ – რაგბის სპორტულ სკოლას, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მორაგებებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. პროგრამის მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე</p> | | |

| | | | |
|---------------------------------------|---|---|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი 05 01 01 03</p> | <p>ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარება</p> | <p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 232.0</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ა(ა)იპ – ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> | | |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ ა(ა)იპ – ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლას, საიდანაც ხორციელდება სკოლის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, სხვადასხვა საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>პროგრამის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა სხვადასხვა საფეხბურთო შეჯიბრებებში.</p> | | |

| | | | |
|---------------------------------------|--|---|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი 05 01 03</p> | <p>სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა</p> | <p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 176.429</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური</p> | | |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში ტოლსტოის ქუჩის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია, (ხელშეკრულება გაფორმებულია). სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, მათ შორის: სოფელ ზოდში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; სოფელ ნიგოზეთში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; საჭადრაკო კლუბის ოთახის რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ტაბიძის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშეკრულება გაფორმებულია). ე.წ ორი ნომრის დასახლებაზე სპორტული მოედნის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ ბერეთისაში საჭიდაო დარბაზის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ჭიათურაში თემურ მაღრამის სახელობის სპორტული მოედნის აღდგენის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები. გიორგაძის და ჭავჭავაძის ქუჩებზე მინი სპორტული მოედნის მოწყობის საპროექტო სამუშაოები. სოფელ უსახელოში და სოფელ ცხრუკვეთში სპორტული მოედნის აღდგენის საპროექტო სამუშაოები; გიორგაძის ქუჩაზე და სოფელ უსახელოში კალათბურთის მინი სპორტული მოედნის მოწყობის საპროექტო სამუშაოები. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p> | | |



კულტურის სფეროს განვითარება 05 02

| | | | |
|--------------------------------|---|------------------------------------|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის სფეროს განვითარება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 | | 2018.300 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სსიპ – სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი; ა(ა)იპ – №1 და №2 მუსიკალური სკოლა, ა(ა)იპ – სახელოვნებო სკოლა, ა(ა)იპ – ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) და სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თეატრი. დაფინანსდება რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობები, აგრეთვე განხორციელდება ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა და კულტურის სფეროს ღონისძიებების დაფინანსება. | | |

| | | | |
|--------------------------------|--|---|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 | | 1915.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სსიპ – სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი; ა(ა)იპ – №1 და №2 მუსიკალური სკოლა, ა(ა)იპ – სახელოვნებო ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ – ცენტრალური ბიბლიოთეკა (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) და სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თეატრი. | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუსიკალური განათლების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 01 | | 300.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლა.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: კლასიკური და ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია, პროპაგანდა. მოზარდი თაობის ინტელექტუალურ მსმენელად ჩამოყალიბება, მოსწავლეთა საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა, შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი.</p> <p>სკოლა აერთიანებს 360 მოსწავლეს, საიდანაც 88 მოსწავლე იხდის სწავლის საფასურს, რაც შეადგენს 15 ლარს თვეში. სოციალურად დაუცველია 80 მოსწავლე, ობოლი 12 მოსწავლე, დევნილი 5 მოსწავლე, მრავალშვილიან ოჯახთა 35 მოსწავლე, ლაურეატი 62 მოსწავლე, ფოლკლორის 78 მოსწავლე.</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|--|---|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუსიკალური განათლების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 02 | | 220.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გივი თხელიძის სახელობის №2 სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის გივი თხელიძის სახელობის №2 სამუსიკო სკოლა.</p> <p>მუსიკალური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და</p> | | |



| | |
|-------------------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი.</p> <p>სკოლა აერთიანებს 158 მოსწავლეს, საიდანაც 34 მოსწავლე იხდის სწავლის საფასურს, რაც შეადგენს 15 ლარს თვეში. სოციალურად დაუცველია 77 მოსწავლე, დევნილი 4 მოსწავლე, მრავალშვილიანი ოჯახების 9 მოსწავლე, ლაურეატი 64 მოსწავლე, ობოლი 4 მოსწავლე.</p> |
|-------------------------------|--|

| | | | |
|-------------------------|-------------|--------------------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სახვითი ხელოვნების განვითარება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 03 | | 65.0 |

| | |
|--------------------------------|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლა |
|--------------------------------|--|

| | |
|-------------------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლა. სადაც სწავლობს 25 ბავშვი, რომელთაც ასწავლის 7 პედაგოგი.</p> <p>სახვითი ხელოვნების განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მონაწილეობის მიღება კონკურსებსა და გამოფენებში.</p> |
|-------------------------------|--|

| | | | |
|-------------------------|-------------|-----------------------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 04 | | 280.0 |

| | |
|--------------------------------|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა |
|--------------------------------|---|

| | |
|-------------------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა;</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა დამუშავება, საკატალოგო მუშაობის წარმოება, საცნობარო ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო პროცესში ელექტრონული საცნობარო ბაზის შექმნა.</p> |
|-------------------------------|--|

| | | | |
|-------------------------|-------------|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრის ფუნქციონირება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 05 | | 1000.0 |

| | |
|--------------------------------|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სსიპ – სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი |
|--------------------------------|--|

| | |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სსიპ – სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი, რომლის მიზანია კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, თეატრალური ხელოვნების, საგუნდო და ფოლკლორული ანსამბლების განვითარება და პოპულარიზაცია და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მასში ფუნქციონირებს სამი მუზეუმი: აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი სოფელ ცხრუკვეთში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჭიათურაში და მთამსვლელ და-მმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი სოფელ ხრეთიში.</p> <p>სსიპ – სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი აერთიანებს 946 მოსწავლეს და 30 პედაგოგს.</p> <p>ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა – 256 მოსწავლე;</p> <p>ნ. ფიროსმანის სახ. სამხატვრო სკოლა „ნიკალა“ – 124 მოსწავლე</p> <p>ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილი სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა – 509 მოსწავლე</p> <p>გ. მოდებაძის სახელობის საბავშვო თეატრალური სტუდია „ცისკარა – 14 მოსწავლე</p> |
|-------------------------------|---|



| | | | |
|--------------------------------|---|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დაფინანსება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 05 | | 50,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში გრანტი მიეცემა სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრს ფესტივალ იმერეთში მონაწილეობის საწევროს გადასახდელად თეატრის ფუნქციონირებისათვის მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. | | |

| | | | |
|--------------------------------|---|------------------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 02 | | 20,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ორგანიზებას; განხორციელება სახალხო ღონისძიებისა და სახალხო დღესასწაულის „ჭიათურობის“ დაფინანსება. | | |

| | | | |
|--------------------------------|--|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 03 | | 23.300 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში კულტურის სახლის ეზოს რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები. ჭიათურაში ცენტრალური საბიბლიოთეკო ქსელის №6-ის განყოფილების (მდებარე ტაბიძის ქ. №12-ში) მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სოფელ ცხრუკვეთში ბიბლიოთეკისა და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები. | | |

| | | | |
|--------------------------------|--|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 04 | | 100.000 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია მონასტრების მშენებლობისა და სხვა მიმდინარე საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას | | |

| | | | |
|--------------------------------|--|---------------------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 03 | | 120,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალისწინებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფა; ინტელექტუალურ-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობის ტრანსპორტირება; სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ტრანსპორტირება; | | |



| | |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ინტელექტუალურ-შემოქმედებით-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა;</p> <p>დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში;</p> <p>წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, წარმატებული ახალგაზრდების, წარმატებული პედაგოგების, რეგიონალურ და მუნიციპალურ ტურნირებზე მონაწილე გუნდების და სპორტსმენების დაჯილდოება;</p> <p>ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება</p> <p>წარჩინებული სტუდენტების დაჯილდოება, ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება;</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადაში მონაწილეებისათვის სპორტული ფორმების შეძენა;</p> <p>პროექტ „ეტალონის“ დაფინანსება;</p> |
|-------------------------------|---|

მუხლი 17.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 06 01

| | | | |
|----------------------|-------------------------|---|--|
| პროგრამის დასახელება | კოდი 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 140.0 |
|----------------------|-------------------------|---|--|

პროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ – ჭიათურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – ჭიათურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:

ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;

გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი;

ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;

თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:



| | |
|------------------|---|
| | <p>1. ეპიდზედამხედველობა (მა შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა; მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი);</p> <p>2. იმუნიზაცია;</p> <p>3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> |
| პროგრამის მიზანი | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; |

| | | | |
|-----------------------------|--|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 02 | | 35.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური; | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება გაეწევა საქართველოს წითელი ჯვრის ჭიათურის წარმომადგენლობას. | | |

სოციალური პროგრამები 06 02

